სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის

ბრძანება №26

2024 წლის 22 ნოემბერი

ქ. თბილისი

,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის სამსახურებრივ-საშტატო ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის, აღრიცხვისა და გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ“ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის 2022 წლის 26 აგვისტოს №15 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის სამსახურებრივ-საშტატო ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის, აღრიცხვისა და გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ“ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის 2022 წლის 26 აგვისტოს №15 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 26/08/2022, სარეგისტრაციო კოდი: 080240000.79.092.016015) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს ცვლილება და აღნიშნული წესის

1. 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დანაყოფში:“

2. ამოღებულ იქნეს 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტი.

3. 1-ელ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

„$3^{1.}$ ოპერატიულ სამმართველოში:

ა) სამმართველოს უფროსზე;

ბ) ოპერატიულ მუშაკზე.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსი **კარლო კაციტაძე**